

ააიპ „მშობლები განათლებისთვის“

მხარდამჭერ და ნამდვილ წევრთა
ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია ორგანიზაციის საერთო კრების მიერ

2019 წელი

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ქცევის სტანდარტს ორგანიზაციის წევრებისთვის. ეთიკის კოდექსის მიზანია, ერთიან ფორმატში მოაქციოს ორგანიზაციის წევრების ურთიერთობები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. მათ შორის, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო, ასევე სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან.

ორგანიზაციის წევრების მოქმედების ძირითადი პრინციპები:

1. ორგანიზაციის წევრი იზიარებს ორგანიზაციის ხედვას, მისიას, ღირებულებებს.
2. ორგანიზაციის თითოეული წევრი, უზრუნველყოფს ბავშვის კეთილდღეობას საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. ორგანიზაციის წევრი მოქმედებს ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე.
4. ორგანიზაციის წევრი თანასწორად ეპყრობა თითოეული ბავშვს. იცავს მას და მის მშობელს დისკრიმინაციისგან: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საქმიანობის, შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.
5. ორგანიზაციის წევრი დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან, ზეწოლისგან, პირადი ინტერესისგან.
6. ორგანიზაციის წევრი კორექტულად გამოთქვამს აზრს, პატივს სცემს ადამიანის ღირსებას.
7. ორგანიზაციის წევრი პატივს სცემს სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, კერძო ან საჯარო დაწესებულების ორგანიზაციულ კულტურას და იცავს მის შინაგანაწესს.
8. ორგანიზაციის წევრი თავისი ქცევით საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანებს.

9. ორგანიზაციის წევრი იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.
10. ორგანიზაციის წევრი არ მოქმედებს და საუბრობს ორგანიზაციის სახელით ორგანიზაციის გამგეობასთან შეუთანხმებლად.
11. ორგანიზაციის წევრი მოხალისეობრივად უნაწილებს თავის ცოდნას და გამოცდილებას სხვა წევრებს.

ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პრინციპების დარღვევის შემთხვევაში ორგანიზაცია უფლებას იტოვებს, დროებით ან სამუდამოდ შეუწყვიტოს პირს წევრის უფლებამოსილება.